საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003952

„11" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამხრეთ საქართველოს დანაყოფი - ქვემო ქართლის [illegible] სამმართველო, მის: ქ. თბილისი [illegible] №1.
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „მიდი" (ს/კ 426541030) მის: [illegible] №12; [illegible] [redacted]
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

[redacted] (2020 წლის 29 აპრილის №2-73 ბრძანებით [illegible]

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილე №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible] №003952 [illegible]
[illegible] №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 7 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს [illegible] კოდექსის 79[7] მუხლის, 79[8] მუხლის მესამე ნაწილის და 84-ე მუხლის 3' ნაწილის მესამე.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 11 ივლისის №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 5, 19 და 21 თებერვალს, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „ბიდი"-ს (ს/კ 426541030) კუთვნილი მეორადი ზეთის გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის №2-604 ბრძანებით გადაცემული 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტის შესაბამისად,** შპს „ბიდი" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი ავტომატური სამართავი პულტის საშუალებით მართვადი ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური სისტემა. საწარმოს პერიმეტრზე არ არის მოწყობილი სახანძრო მილების სისტემა ონკანებით და საწარმო არ არის აღჭურვილი სახანძრო ინვენტარით;

1.2. საწარმოში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული თიხის მართვა არ ხდება გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, დაბინძურებული თიხა არ თავსდება ლითონის კასრებში, არ არის მარკირებული და მისი განთავსებისათვის არ არის გამოყოფილი შემოღობილი, მობეტონებული და გადახურული სპეციალური ტერიტორია;

1.3. დადგინდა, რომ ტომრები, რომლებშიც განთავსებულია სახიფათო ნარჩენი (ჩვრები, ხელთათმანები და სხვა) არ არის მარკირებული და განთავსებული მათთვის გამოყოფილ სპეციალურ კონტეინერში, ასევე არ არის განთავსებული ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს, შემოღობილ დროებითი დასაწყობების ტერიტორიაზე. ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საწარმოში არ არის მოწყობილი ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი;

2025 წლის 11 ივლისის №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.4. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილი შესაბამისი ურნები;

1.5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს გადახურულ ტერიტორიაზე. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ გადახურულ ტერიტორიაზე განთავსებულია მხოლოდ ფილტრის დანადგარი, ხოლო დანარჩენი საწარმოო დანადგარები განთავსებულია ღია ცის ქვეშ;

1.6. კომპანია წელიწადში ერთხელ არ უზრუნველყოფს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე უბნების გამოვლენისა და პრობლემის გადაჭრის მიზნით, საწარმოს ტერიტორიის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებას;

1.7. კომპანია არ ახორციელებს რეზერვუარების კოროზიაზე კონტროლს;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის შესაბამისად,** კომპანია არ ახორციელებს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკურ კონტროლს. ასევე, გარემოსდაცვით საკითხებზე არ აქვს ჩატარებული საწარმოში დასაქმებული მუშა-მომსახურე პერსონალისათვის სწავლება;

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტის შესაბამისად,** კომპანია არ ახორციელებს ნარჩენი ზეთის შეგროვება-დასაწყობებას და მის შემდგომ მართვას ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. კერძოდ, როგორც ნარჩენების ელექტრონული სისტემის (wms.mepa.gov.ge) საშუალებით დადგინდა, შპს „ბიდი", „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად, არ აწარმოებს სახიფათო ტრანსპორტირების ფორმას. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ნარჩენების ელექტრონულ სისტემაში დაცული მონაცემების კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმაში მითითებული მონაცემები, არ ემთხვევა შპს „ბიდი"-ს 2024 წლის 7 მარტის №15715 წერილით წარმოდგენილ ტრანსპორტირების ზედნადებებში ასახულ ინფორმაციას;

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტის შესაბამისად,**

კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ არ აცნობა სამინისტროს.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

5. **ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:**

5.1. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ნედლეულის მიღება-შენახვისათვის განკუთვნილი 15 მ³ მოცულობის ერთი ერთეული ავზი (ცისტერნა), ნაცვლად გზშ ანგარიშში განხილული 20 მ³-ისა;

5.2. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გაგრილება ხდება ადგილზე დამონტაჟებული წყლის გაგრილების დანადგარით - წყლის ავზით, რომელშიც წყალი მუდმივად ცირკულირებს და ასრულებს გამაგრილებელის ფუნქციას, ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული ჩილერისა;

5.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმო განთავსებული უნდა იყოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.07.13.343), თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განთავსებულია მხოლოდ საწარმოში არსებული ერთი ერთეული 10 მ³ მოცულობის რეაქტორი, ხოლო დანარჩენი დანადგარები **განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.07.13.342), რომელიც არ არის განხილული გზშ ანგარიშში;**

5.4. საწარმოს ტერიტორიაზე, გარდა გზშ ანგარიშში გათვალისწინებული რეზერვუარისა, ასევე განთავსებულია მიწისქვეშა ბეტონის ღია ავზი, სადაც ხორციელდება საწარმოში 200 ლიტრიანი თუნუქის კასრებით შემოტანილი მეორადი ზეთის ხელით ჩასხმა. შემდგომ ტუმბოს და პლასტმასის მილის საშუალებით, მეორადი ზეთი გადაიტუმბება ზეთის ღუმელ-რეაქტორში, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის განხილული გზშ ანგარიშში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. **შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანიამ ზემოაღნიშნული ცვლილებები განახორციელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალსწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, რაც წარმოადგენს**

2025 წლის 11 ივლისის №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

6. ასევე, დადგინდა, რომ კომპანიის მიერ ხორციელდება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.07.13.342) არამიზნობრივი გამოყენება, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 1 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილის და 53^2 მუხლის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის, 40^1 მუხლის მე-3 ნაწილის და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ბიდი"-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, № 089030 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ივნისის №4-220-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 53^2 მუხლით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით, 40^1 მუხლის მე-3 ნაწილით და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 დეკემბრის №4/ა-1269-24 დადგენილებით, შპს „ბიდი"-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბიდი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 11 ივლისის №003952 ადმინისტრაციული მიწერილობა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ გამარჯვების მიმდებარედ განთავსებული, შპს „ბიდი"-ს (ს/კ 426541030) კუთვნილი მეორადი ზეთის გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის №2-604 ბრძანებით გადაცემული 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ბიდი" ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი ვალდებულებების შესრულება:**

ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საქმიანობა ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.07.13.342) არამიზნობრივი გამოყენება (იხ. №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის მე-6 პუნქტი), შპს „ბიდი"-ს ეზღუდება საქმიანობის განხორციელების უფლება №81.07.13.342 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

ამასთან, კომპანია ვალდებულია:

1. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გეგმავს განახორციელოს საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.07.13.342), შპს „ბიდი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს შესაბამის ორგანოს** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 81.07.13. 342) მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების მიზნით;

2. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოში განხორციელებულია ექსპლუატაციის ცვლილება **(იხ. №003952 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის მე-5 პუნქტი)** შპს „ბიდი" ვალდებულია მიწის ნაკვეთის დანიშნულების მიზნობრივი ცვლილების შემდგომ **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით;

3. **მიწის ნაკვეთის დანიშნულების მიზნობრივი ცვლილების შემდგომ და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე,** შპს „ბიდი" **ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის №2-604 ბრძანებით გადაცემული 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად.** მათ შორის:

3.1. საქმიანობა განხორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნების და

რეკომენდაციების შესაბამისად (2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი**), კერძოდ:

3.1.1. **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ტერიტორიაზე ავტომატური სამართავი პულტის საშუალებით მართვადი ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური სისტემის მოწყობა. **ამავე ვადაში** საწარმოს პერიმეტრზე მოაწყოს სახანძრო მილების სისტემა ონკანებით და საწარმო აღჭურვოს სახანძრო ინვენტარით;

3.1.2 **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** საწარმოში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული თიხის მართვა გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, დაბინძურებული თიხა განათავსოს შესაბამისი მარკირების მქონე ლითონის კასრებში;

3.1.3 **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** დაბინძურებული თიხის განთავსებისათვის, შემოღობილი, მობეტონებული და გადახურული ტერიტორიის მოწყობა;

3.1.4 **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** საწარმოში (სახიფათო (ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს) და არასახიფათო) ნარჩენების დროებითი განთავსების უბნ(ებ)ის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3.1.5 **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე სახიფათო (ჩვრები, ხელთათმანები და სხვა) და არასახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილი შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის კონტეინერების/ურნების განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესაბამისად;

3.1.6 **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოო დანადგარების განთავსების ადგილების/ტერიტორიის გადახურვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3.1.7 **არანაკლებ წელიწადში ერთხელ** უზრუნველყოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე უბნების გამოვლენისა და პრობლემის გადაჭრის მიზნით, საწარმოს ტერიტორიის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება. ამასთან, უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე უბნების გამოვლენის შემთხვევაში, ანგარიში უნდა მოიცავდეს ასევე პრობლემის გადაჭრის გზებს და შესაბამის რეკომენდაციებს. ეკოლოგიური აუდიტის შემუშავების შემდგომ უზრუნველყოს აუდიტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარდგენა და საქმიანობის განხორციელების პროცესში **მუდმივად უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;**

3.1.8 **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** რეზერვუარების კოროზიაზე კონტროლი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3.2. **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკური კონტროლი (2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი**);

3.3. **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ჩაატაროს,** ხოლო შემდგომ, სისტემატურად განახორციელოს საწარმოში დასაქმებული მუშა-მომსახურე პერსონალის სწავლება გარემოსდაცვით საკითხებზე;

3.4. **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ნარჩენი ზეთის შეგროვება-დასაწყობება და მის შემდგომი მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად (2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი**).

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003977

„11" ივლისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი; მის. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის I შესახვევი №2

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ბიგი" (ს/კ 426541030) მისამართი:
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
გარდაბნის რ-ნი ს. გამარჯვება 23-ე ქ. №12, დირექტორი: [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[redacted] (2020 წლის 29 აპრილის
№2-73 მინდობილობა, გაცემული [illegible]).

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: გამოვლენილი დარღვევები
მითითებულია ოქმის №003977 დანართის
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
[illegible] №1-2.

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible] №003977 [illegible] [illegible] [illegible] №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

[illegible] [illegible] [illegible] 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 40 მუხლის მე-3 ნაწილი, მე-40 მუხლის [illegible] ნაწილი და 46-ე მუხლის [illegible] ნაწილი [illegible].

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] - [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 11 ივლისის №003977 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 5, 19 და 21 თებერვალს, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „ბიდი"-ს (ს/კ 426541030) კუთვნილი მეორადი ზეთის გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის №2-604 ბრძანებით გადაცემული 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

ასევე, გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი. კერძოდ:

1. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ სახიფათო ნარჩენების შემოტანა საწარმოში ხორციელდება ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით TT-488-KK, რომელზეც ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 23 თებერვლის №1322/01 წერილით დგინდება, რომ კომპანიას მოქმედი ნარჩენების მართვის გეგმა არ გააჩნია, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;

3. კომპანია არ ახორციელებს ნარჩენი ზეთის შეგროვება-დასაწყობებას და მის შემდგომ მართვას ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. კერძოდ, როგორც ელექტრონული სისტემის ანალიზით დადგინდა, wms.mepa.gov.ge-ზე, შპს „ბიდი", საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" შესაბამისად, არ აწარმოებს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმას. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ნარჩენების ელექტრონულ სისტემაში დაცული მონაცემების კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ wms.mepa.gov.ge-ზე ატვირთულ სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმაში მითითებული მონაცემები არ ემთხვევა შპს

„ბიდი"-ს 2024 წლის 7 მარტის №15715 წერილით წარმოდგენილ ტრანსპორტირების ზედნადებებში ასახულ ინფორმაციას. კერძოდ:

3.1. 2023 წლის 27 თებერვლის სატრანსპორტო ზედნადების შესაბამისად, შპს „RMG Gold"-იდან განხორციელდა 4873.2900 კგ. მეორადი ზეთის შპს „ბიდი"-ს საწარმოში ტრანსპორტირება, თუმცა wms.mepa.gov.ge-ზე აღნიშნულ პერიოდზე მითითებულია, რომ ტრანსპორტირება განხორციელდა სს „RMG Copper"-იდან;

3.2. 2023 წლის 12 სექტემბრის ზედნადების შესაბამისად, სს „RMG Copper"-იდან განხორციელდა 180.4920 კგ მეორადი ზეთის შპს „ბიდი"-ს საწარმოში ტრანსპორტირება, თუმცა, wms.mepa.gov.ge-ზე აღნიშნულ პერიოდზე მითითებულია, რომ განხორციელდა 7959 კგ მეორადი ზეთის ტრანსპორტირება;

3.3. 2023 წლის 27 თებერვლის ზედნადების შესაბამისად, სს „RMG Copper"-იდან განხორციელდა 6858.7100 კგ მეორადი ზეთის შპს „ბიდი"-ს საწარმოში ტრანსპორტირება, თუმცა, wms.mepa.gov.ge-ზე აღნიშნულ პერიოდზე მითითებულია, რომ განხორციელდა 4873 კგ მეორადი ზეთის ტრანსპორტირება;

3.4. 2024 წლის 5 თებერვალს განხორციელებული ინსპექტირებისას, ადგილზე დაფიქსირდა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული თიხა, ხოლო 2024 წლის 19 თებერვალს განხორციელებული ინსპექტირებისას აღნიშნული ნარჩენები ადგილზე აღარ იყო განთავსებული და გატანილი იყო ტერიტორიიდან, თუმცა, მისი ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 1 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილის და 53^2 მუხლის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის, 40^1 მუხლის მე-3 ნაწილის და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ბიდი"-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, № 089030 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ივნისის №4-220-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 53^2 მუხლით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით, 40^1 მუხლის მე-3 ნაწილით და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 დეკემბრის №4/ა-1269-24

დადგენილებით, შპს „ბიდი“-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბიდი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 11 ივლისის №003977 ადმინისტრაციული მიწერილობა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „ბიდი"-ს (ს/კ 426541030) კუთვნილი მეორადი ზეთის გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის №2-604 ბრძანებით გადაცემული 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ბიდი" ვალდებულია:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** შეიმუშაოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა. შემდგომში საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ** სახიფათო ნარჩენების საწარმოში შემოტანა **მუდმივად უზრუნველყოს იმ** ავტომანქან(ებ)ის საშუალებით, რომელთაც ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) გავლილი აქვთ საქმიანობის რეგისტრაცია;

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმის წარმოება, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" შესაბამისად.